

## საქმის განხილვა ბრალდებულის დაუსწრებლად (trial in absentia)

### სასამართლო განხილვაზე დასწრების უფლება

#### ა. ზოგადი პრინციპი

„ამის შესახებ არ არის მკაფიოდ ნახსენები მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში, თუმცა ამ მუხლის მიზანი და დანიშნულება, ერთად აღებული, ადასტურებს, რომ 'სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირს აქვს [სასამართლო] განხილვაში მონაწილეობის უფლება“.<sup>1</sup> ეს პრინციპი, რომელიც ჩამოყალიბდა კოლოზას (Colozza) საქმეში ყოველთვის გამოიყენება პირველი ინსტანციით საქმის განხილვის დროს და საყოველთაოდ აღიარებულია.<sup>2</sup> სტენფორდის (Stanford) საქმეში სასამართლომ კიდევ უფრო დააზუსტა მისი მნიშვნელობა: „მთლიანობაში, განხილული მე-6 მუხლი უზრუნველყოფს ბრალდებულის უფლებას, ეფექტიანი მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის საქმის განხილვაში. ზოგადად, ეს მოიცავს, inter alia, არა მხოლოდ დასწრების, არამედ სამართალწარმოების მოსმენისა და მისთვის თვალის დევნების უფლებას“.<sup>3</sup>

#### ბ. დისციპლინურ მიზეზებთან დაკავშირებული გამონაკლისები

კონფლიქტი წარმოიქმნება, როდესაც ბრალდებული არ ემორჩილება სასამართლო განხილვის ნორმალურად წარმართვის მიზნით დადგენილ ქვეყნის წესებს. ბრალდებულმა შეიძლება არეულობა შეიტანოს სამართალწარმოებაში თავისი საუბრით, ყვირილით, ძალადობრივი ქმედებით ან ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ სასამართლოში გამოცხადებით.

<sup>1</sup> იხ., კოლოზა (Colozza) იტალიის წინააღმდეგ, § 27; ეს გადაწყვეტილება დადასტურდა საქმეში მონელი (Monnell) და მორისი (Morris) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 56; ბარბერა (Barbera), მესაგე (Messague) და ხაბარდო (Jabardo) ესპანეთის წინააღმდეგ, § 78, 34; ბროზიჩეკი (Brozicek) იტალიის წინააღმდეგ, § 45; FCB იტალიის წინააღმდეგ, § 33; T იტალიის წინააღმდეგ, § 26; ზანა (Zana) თურქეთის წინააღმდეგ, § 68; ბელზიუკი (Belziuk) პოლონეთის წინააღმდეგ, § 37. სასამართლო ყოყმანობდა მხოლოდ ერთ საქმეში ეკბატანი (Ekbatani) შვედეთის წინააღმდეგ (§ 25), როდესაც განაცხადა, რომ ბრალდებულის მოსმენა უნდა მოხდეს პირველ ინსტანციაში „ზოგადი პრინციპის სახით.“ თუმცა ასეთი შეზღუდვა აღარ გვხვდება მოგვიანებით განხილულ საქმეებში და შეცდომად უნდა მივიჩნიოთ. იხ. ფან დაიკი და ფან ჰოფი (1998) 433. ვიდმაიერი (Widmaier) ნიდერლანდების წინააღმდეგ, განაცხადი 9573/81.

<sup>2</sup> იხ., იხ. მაგ: ფროვანი და პოიკერტი (1996) მე-6 მუხლი, N 94; პონსე (1977) 46.

<sup>3</sup> იხ., სტენფორდი (Stanford) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 26: განმცხადებელი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმ ფაქტის გამო, რომ ვერ მოისმინა სასამართლო განხილვა, რადგან ბრალდებულისთვის განკუთვნილი ადგილი იყო შემინული. სასამართლომ გაიზიარა მისი მოსაზრება, რომ ადგილი ჰქონდა „სირთულეებს სასამართლო განხილვის დროს ზოგიერთი მტკიცებულების მოსმენისას.“ თუმცა არც განმცხადებელს და არც მის დამცველს არ დაუყენებია ეს საკითხი პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე. შესაბამისად, სასამართლომ კონვენციის დარღვევა ვერ აღმოაჩინა. სასამართლომ ასევე მიუთითა იმ ფაქტზე, რომ განმცხადებელს ჰყავდა დამცველი (§ 30), რაც არ არის დამაჯერებელი არგუმენტი. მნიშვნელოვანია, რომ ბრალდებულს თავად შეეძლოს სამართალწარმოებისთვის თვალყურის დევნება მისი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების ფარგლებში.

თეორიულად, შესაძლებელია ასეთ ქცევაზე რეაგირება ძალის გამოყენებით, პირის შეზღუდვით ან მის დასამშვიდებლად შესაბამისი მედიკამენტების გამოყენებით. თუმცა სასამართლო წესრიგი მაინც დაირღვევა და ბრალდებულის, სასამართლოს და ყველა დამსწრის ღირსება შეილახება. ამიტომ შესაძლებელი უნდა იყოს ასეთი პირების გაძევება სასამართლო დარბაზიდან. კომისიამ აშკარად დაუსაბუთებლად ცნო განაცხადები მსგავსი ზომების წინააღმდეგ<sup>4</sup>. თუმცა დაუშვებელია სხდომის დარბაზიდან გაძევების გამოყენება სასჯელის სახით. პირი უნდა დაბრუნდეს დარბაზში, თუ წესრიგის დაცვის პირობას დადებს და შეასრულებს.

## გ. დაუსწრებლად პირის გასამართლება

რამდენად შეესაბამება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას პირის დაუსწრებლად გასამართლება? არსებობს რამდენიმე მიზეზი, რაც ასეთი ტიპის სამართალწარმოებას არასასურველს ხდის.

სასამართლო განხილვაში ბრალდებულის მონაწილეობა არ არის აუცილებელი მხოლოდ დაცვის ინტერესებისთვის. ის ხელს უწყობს სასამართლოს ბრალდებულის შესახებ შთაბეჭდილების შექმნაში და მისი განცხადებების მოსმენის საშუალებას აძლევს. გარდა ამისა, ბრალდებულს შეუძლია სამართალწარმოების სამართლიანობის პირადად გაკონტროლება. შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რა აზრი აქვს პირის მსჯავრდებას ან მისთვის სასჯელის დანიშვნას, თუ მისი არყოფნის გამო, შეუძლებელია განაჩენის აღსრულება, როგორც მინიმუმ, ისეთი სანქციების დაკისრებისას როგორცაა თავისუფლების აღკვეთა.

ბრალდებულის დაუსწრებლად გასამართლების მხარდამჭერი ერთ-ერთი არგუმენტი არის ის, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა შეიძლება უფრო ხანმოკლე იყოს, ვიდრე სასჯელის აღსრულებისთვის.<sup>5</sup> ამასთან, არსებობს ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრის ინტერესი მანამ, სანამ მტკიცებულებები ჯერ კიდევ ხელმისაწვდომია.<sup>6</sup>

ნებისმიერ შემთხვევაში, რამდენიმე კონტინენტურ სისტემაში მოქმედებს წესი, რომელიც გარკვეული გარემოებების არსებობისას, უშვებს პირის დაუსწრებლად გასამართლებას. კონვენცია არ არის რეგოლაციური აქტი და მისმა ინტერპრეტაციამ არ უნდა გამოიწვიოს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში არსებული ტრადიციების სრული უარყოფა. შედეგად, ასეთი სასამართლო განხილვის სრულად აკრძალვის ნაცვლად, პრეცედენტულ სამართალში აქცენტი კეთდება იმ პირობებზე, რომელთა საფუძველზე ის ჩაითვლება

<sup>4</sup> იხ., X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი 8386/78.

<sup>5</sup> იხ., იხ. მაგ: ავსტრიის საპროცესო კოდექსის 57-ე და 59-ე მუხლები; გერმანიის საპროცესო კოდექსის 78-ე და 79-ე მუხლები; შვეიცარიის საპროცესო კოდექსის 70-ე და 73-ე მუხლები.

<sup>6</sup> იხ., კოლოზა (Colozza) იტალიის წინააღმდეგ, § 29.

სამართლიანად. ეს საკითხი ასევე განიხილა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა და მიიღო სპეციალური რეზოლუცია.<sup>7</sup>

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი პირდაპირ გვეუბნება, რომ ბრალდებულს უფლება აქვს, დაესწროს სასამართლო განხილვას. თუმცა ადამიანის უფლებათა კომიტეტის განცხადებით, მე-14 მუხლი „არ შეიძლება განიმარტოს ისე, თითქოს ყოველთვის დაუშვებლად მიიჩნეოდეს ბრალდებულის დაუსწრებლად გასამართლებას მისი არყოფნის მიზეზების მიუხედავად“.<sup>8</sup>

### ევროპული პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარეობს შემდეგი წესები:

- I. ხელახალი გასამართლების შესაძლებლობა. დაუსწრებლად გასამართლება არ წარმოშობს რაიმე პრობლემას სამართლიანობასთან დაკავშირებით, როდესაც მსჯავრდებულის საქმე შეიძლება ხელახლა იქნეს განხილული მის მიერ ასეთი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში ან, თუ საქმის გადასინჯვა ავტომატურად მოხდება.<sup>9</sup> სხვა სიტყვებით, აუცილებელი არ არის ბრალდებულის მიერ თავისი გამოუცხადებლობის საფუძვლიანი მიზეზების მოყვანა. ჩვეულებრივ, მოქმედებს ხანმოკლე ხანდაზმულობის ვადა, რომელიც სასამართლო განაჩენის შესახებ მსჯავრდებულს პირის ფორმალურად ინფორმირების მომენტიდან იწყება. სასამართლომ ნათელი გახადა ეს, როდესაც განაცხადა, რომ, „თუ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უშვებს სასამართლო განხილვას ბრალდებულის არყოფნის მიუხედავად, პირს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება სამართალწარმოების შესახებ, სასამართლოსგან მოითხოვოს მისთვის წარდგენილი ბრალდების საფუძვლიანობის არსებითი განსაზღვრა“.<sup>10</sup> თუ პირი არ ისარგებლებს ამ შესაძლებლობით, ეს ჩაითვლება უფლებაზე უარის თქმად. ჰაზერის (Haser) საქმეში განმცხადებელმა აირჩია პირდაპირ სააპელაციო საჩივრის წარდგენა სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა განხილვის შესაძლებლობის გამოყენების ნაცვლად. სასამართლომ კვლავ ხაზი გაუსვა სასამართლო განხილვაზე ბრალდებულის დასწრების მნიშვნელობას და განაცხადა დაუშვებლად ცნო.<sup>11</sup>
- II. ხელახალი გასამართლების შესაძლებლობის არარსებობა. სასამართლო ერთმანეთისგან განასხვავებს პირის დაუსწრებლად გასამართლებას, როდესაც ის

<sup>7</sup> იხ., რეზოლუცია (75) 21 მარტი, 1975.

<sup>8</sup> იხ., დანიელ მონგუტა მბენგე (Daniel Monguta Mbenge) ზაირის წინააღმდეგ, § 76.

<sup>9</sup> იხ., საქმის ავტომატურად გადასინჯვა ხდება საფრანგეთში. იხ. B საფრანგეთის წინააღმდეგ, განაცხადი 10291/83.

<sup>10</sup> იხ., კოლოზა (Colozza) იტალიის წინააღმდეგ, § 29.

<sup>11</sup> იხ., ჰაზერი (Haser) შვეიცარიის წინააღმდეგ, განაცხადი 33050/96.

შეგნებულად თავს არიდებს გამოცხადებას<sup>12</sup> იმ შემთხვევისგან, როდესაც ბრალდებული ვერ ახერხებს გამოცხადებას მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.<sup>13</sup> ამ განსხვავების მიუხედავად, სასამართლო მუდმივად აცხადებს, რომ „სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის უფლება, ისარგებლოს დამცველის ეფექტიანი დახმარებით, სამართლიანი სასამართლო განხილვის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია. ბრალდებული არ კარგავს ამ უფლებას მხოლოდ იმიტომ, რომ არ ესწრება სასამართლო განხილვას“.<sup>14</sup>

ბრალდებულთან დაკავშირების დროს სასამართლოებმა უნდა გამოიჩინონ გულმოდგინება გონივრულ ფარგლებში. ჯეროვან გულმოდგინებას არ ჰქონდა ადგილი კოლოზას (Colozza) საქმეში, როდესაც ბრალდებულის ახალი მისამართი სულაც არ იყო დაფარული. მის შესახებ იცოდა როგორც პროკურატურამ, ისე პოლიციამ.<sup>15</sup> ბრალდებულს არ უნდა დაეკისროს „იმის მტკიცების ტვირთი, რომ არ უცდია მართლმსაჯულებისგან დამალვა ან მისი არყოფნის მიზეზი იყო დაუძლეველი ძალის არსებობა“.<sup>16</sup> სხვა სიტყვებით, სასამართლომ (სტრასბურგში საქმის განხილვისას სახელმწიფომ) უნდა დაამტკიცოს, რომ პირისთვის ცნობილი იყო სასამართლო განხილვის თარიღის შესახებ.<sup>17</sup>

კოლოზას (Colozza) საქმეში სასამართლოს გადაწყვეტილების მეორე ნაწილი გაცილებით უფრო ზოგადია. თუ მკაფიოდ დადგინდება, რომ ბრალდებულმა მიიღო უწყება, მაგრამ, მაინც არ გამოცხადდა სასამართლო განხილვაზე, ლეგიტიმური იქნება მას მოეთხოვოს სასამართლოსთვის დამაჯერებელი მტკიცებულებების წარდგენა, რომ მისი არყოფნა გამოწვეული იყო მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით და არ უნდა ჩაითვალოს უფლებაზე უარის თქმად.

### III. უფლებაზე უარის თქმა და მისი შეზღუდვები.

ბრალდებულს შეუძლია პირდაპირ ან არაპირდაპირ თქვას უარი სასამართლო განხილვაზე დასწრების უფლებაზე.<sup>18</sup> ზემოთ აღწერილი ქცევა, რომელიც სასამართლო წესრიგს არღვევს, შეიძლება განიმარტოს როგორც უფლებაზე ნაგულისხმები უარის თქმა. თუმცა, ისევე როგორც დაცვის სხვა უფლებებთან

<sup>12</sup> იხ., პუატრიმოლი (Poitrimol) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 30. ვან გეიზეხემი (Van Geyseghem) ბელგიის წინააღმდეგ, § 29.

<sup>13</sup> იხ., მაგ: გოდი (Goddi) იტალიის წინააღმდეგ; კოლოზა (Colozza) იტალიის წინააღმდეგ; კრომბახი (Krombach) საფრანგეთის წინააღმდეგ.

<sup>14</sup> იხ., გედჰარტი (Goedhart) ბელგიის წინააღმდეგ, § 26; ვან გეიზეხემი (Van Geyseghem) ბელგიის წინააღმდეგ, § 34; ლალა (Lala) ნიდერლანდების წინააღმდეგ, § 33; პალანდოა (Pelladoah) ნიდერლანდების წინააღმდეგ, § 40; სტროკი (Stroek) ბელგიის წინააღმდეგ; კრომბახი (Krombach) საფრანგეთის წინააღმდეგ.

<sup>15</sup> იხ., კოლოზა (Colozza) იტალიის წინააღმდეგ, § 28.

<sup>16</sup> იხ., *Ibid.*, § 30.

<sup>17</sup> იხ., FCB იტალიის წინააღმდეგ, § 35; იხ. თავი 8.

<sup>18</sup> იხ., საქმეში კოლოზა (Colozza) იტალიის წინააღმდეგ (§ 28) სასამართლომ ღიად დატოვა ასეთი შესაძლებლობის არსებობის საკითხი.

მიმართებში, ამ უფლებაზე უარის თქმაც „ერთმნიშვნელოვნად უნდა დადგინდეს“.<sup>19</sup>

სასამართლოში გამოცხადების უფლება ხაზს უსვამს პრინციპის მეორე ელემენტს, კერძოდ, ბრალდებულის ვალდებულებას, რომ გამოცხადდეს. ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში სასამართლო განხილვაზე პირის გამოუცხადებლობა ჩაითვლება სასამართლოსადმი უპატივცემულობად. ასეთ დროს ბრალდებულის მიმართ სასამართლოს დამოკიდებულება, ჩვეულებრივ, ძალზე ნეგატიურია და შეიძლება მისი ქონებაც კი დაექვემდებაროს კონფისკაციას. ერთ-ერთ შესაძლო სანქციას წარმოადგენს თავის დაცვის უფლების ჩამორთმევა. ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი საქმეში პუატრიმოლი (Poitrimol) საფრანგეთის წინააღმდეგ. სააპელაციო სასამართლომ ჩამოართვა ბრალდებულს დამცველის დახმარებით სარგებლობის უფლება, რადგან უწყების მიღების მიუხედავად,<sup>20</sup> არ გამოცხადდა. განმცხადებელმა მკაფიოდ გამოხატა თავისი სურვილი, არ დასწრებოდა სასამართლო განხილვას, თუმცა ასევე განაცხადა, რომ განზრახული ჰქონდა დამცველის მომსახურებით სარგებლობა. ამდენად, სასამართლოს უნდა განესაზღვრა, აქვს თუ არა ბრალდებულს, „რომელმაც შეგნებულად აარიდა თავი [სასამართლოში] პირადად გამოცხადებას, უფლება, მის მიერ არჩეული დამცველის დახმარებაზე“.<sup>21</sup> სასამართლომ არ გამოიციხა იმ ბრალდებულთა წინააღმდეგ გარკვეული სანქციების გამოყენების შესაძლებლობა, რომლებიც შეგნებულად უარს აცხადებდნენ სასამართლოში გამოცხადებაზე: „ბრალდებულის გამოცხადებას დიდი მნიშვნელობა აქვს ... შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოს უნდა შეეძლოს უსაფუძვლო გამოუცხადებლობის აღკვეთა“.<sup>22</sup> თუმცა სასამართლომ აღნიშნა, რომ ამჟამად არაპროპორციული იყო ბრალდებულისთვის დამცველის დახმარებით სარგებლობის უფლებაზე უარის თქმა სასამართლოში გამოუცხადებლობის გამო.

საფრანგეთში საკასაციო სასამართლოსთვის მიმართვა „დრაკონული“ წესებით წესრიგდება. ერთ-ერთ საქმეში, განმცხადებელი, რომელსაც მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა, ჩაბარდა ხელისუფლების ორგანოებს (შედეგად შეეფარდა წინასწარი პატიმრობა), რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში აღარ ექნებოდა გასაჩივრების უფლება. ამჯერადაც, გამოყენებული სანქცია სასამართლომ

<sup>19</sup> იხ., ნოიმაისტერი (Neumeister) ავსტრიის წინააღმდეგ, § 36; ლე კონტი (Le Compte), ვან ლოვენის (Van Leuven) და დე მეიერი (De Meyere) ბელგიის წინააღმდეგ, § 59; ალბერი (Albert) და ლე კონტი (Le Compte) ბელგიის წინააღმდეგ, § 35; კოლოზა (Colozza) იტალიის წინააღმდეგ, § 28; ზანა (Zana) თურქეთის წინააღმდეგ, § 70.

<sup>20</sup> იხ., მსგავს პრობლემას ჰქონდა ადგილი საქმეებში ლალა (Lala) ნიდერლანდების წინააღმდეგ, პალანდოა (Pellendoah) ნიდერლანდების წინააღმდეგ და ვან გეიზეხემი (Van Greyseghem) ბელგიის წინააღმდეგ.

<sup>21</sup> იხ., პუატრიმოლი (Poitrimol) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 32.

<sup>22</sup> იხ., Ibid, § 35.

გადამეტებულად მიიჩნია.<sup>23</sup> თუმცა ეს საქმე განხილული იქნა არა დაცვის უფლებასთან კავშირში, არამედ როგორც სასამართლოსთვის მიმართვის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა.<sup>24</sup> იგივე მიდგომა იქნა გამოყენებული ხალაფაუის (Khalfaoui) საქმეში, რომელიც შეეხებოდა კანონთან დაკავშირებულ საკითხებზე სააპელაციო საჩივრის წარდგენის უფლებას. სასამართლომ ეს შემთხვევა არ განასხვავა იმ საქმეებისგან, რომლებშიც განხილვის საგანი იყო საჩივარი საკასაციო სასამართლოში.<sup>25</sup>

„იმისათვის, რათა საპროცესო უფლებებზე უარის თქმას ძალა ჰქონდეს კონვენციის მიზნებისთვის, აუცილებელია მისი მნიშვნელობის თანაზომადი მინიმალური გარანტიების არსებობა“<sup>1206</sup>. დაუსწრებლად გასამართლების შემთხვევაში, ეს გარანტიები პირდაპირ უკავშირდება ბრალდებულის სასამართლოში დაბარების წესს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლი ეხება საქმის განხილვას დაუსწრებლად. კერძოდ, ამ დებულების თანახმად, „ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა დასაშვებია, თუ იგი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას. ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვაში ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა.“

საერთაშორისო სტანდარტები თავისთავად (per se) არ გამორიცხავს საქმის განხილვას დაუსწრებლად. თუმცა, ბრალდებულს უფლება აქვს საჯარო მოსმენაზე, რაც აუცილებლად გულისხმობს ზეპირ მოსმენას; რამეთუ დასწრების გარეშე „ძნელია, დაინახო, თუ როგორ შეუძლია ბრალდებულს კონკრეტული უფლებების განხორციელება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს უფლებას, რომ „დაიცვას თავი პირადად“, „დაკითხოს ან დააკითხინოს ბრალდების მოწმეები“ და „ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა, ან ილაპარაკოს ამ ენაზე.“<sup>26</sup> სასამართლოს სხდომაზე სისხლის სამართლის საქმის მოსმენისას ბრალდებულის დასწრების უზრუნველყოფის ვალდებულება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, რომელსაც მე-6 მუხლი ითვალისწინებს.<sup>27</sup> მართალია, საქმის განხილვა ბრალდებულის დაუსწრებლად თავისთავად არ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6 მუხლს, მიუხედავად ამისა, ადგილი აქვს მართლმსაჯულების უგულვებელყოფას, როდესაც დაუსწრებლად გასამართლებული პირისათვის მაშინვე არ ხდება ცნობილი ბრალდების

<sup>23</sup> იხ., Ibid., § 38. ეს პრეცედენტი დადასტურდა საქმეებში ომარი (Omar) საფრანგეთის წინააღმდეგ და გერინი (Guerin) საფრანგეთის წინააღმდეგ.

<sup>24</sup> იხ., Ibid., § 38.

<sup>25</sup> იხ., ხალაფაუი (Khalfaoui) საფრანგეთის წინააღმდეგ, § 46.

<sup>26</sup> იხ., Colozza v. Italy, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 12 თებერვალი, 1985, განაცხადი #9024/80, პუნქტი 27. აგრეთვე იხ. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 3(c), (d) და (e) ქვეპუნქტები.

<sup>27</sup> იხ., Hermi v. Italy, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 18 ოქტომბერი, 2006, განაცხადი #8114/02, პუნქტები 58-59; Sejdovic v. Italy, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 1 მარტი, 2006, განაცხადი #56581/00, პუნქტები 81 და 84.

შინაარსი როგორც მატერიალურ, ისე ფაქტობრივ მხარესთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუ არ დადგინდება, რომ მან უარი თქვა სასამართლოს წინაშე გამოცხადებასა და პირადად დაცვაზე, ან თავი აარიდა სასამართლოში გამოცხადებას.<sup>28</sup>

189-ე მუხლი არ ავალდებულებს სასამართლოს, როდესაც დაადგენს, რომ ბრალდებული არ გამოცხადდა სასამართლოს წინაშე, შეამოწმოს, თუ რამდენად ეფექტიანად ჩაბარდა ბრალდებულს სასამართლოს უწყება.<sup>29</sup> ეფექტიანი უწყების გარეშე ბრალდებულმა შეიძლება არც კი იცოდეს სამართალწარმოების თაობაზე, რაც წარმოადგენს მასთან მიმართებით საჯარო განხილვის უფლების დარღვევას. უფრო მეტიც, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ქმედითი სასამართლო უწყება გაცემულია, ბრალდებულს უნდა ჰქონდეს უფლება საქმის ხელახლა განხილვაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი თავის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით იყო წარმოდგენილი სასამართლო განხილვის დროს<sup>30</sup> ან, მკაფიოდ განაცხადებს უარს სასამართლოს წინაშე გამოცხადებაზე, ან სასამართლო დაადგენს, რომ იგი აპირებდა სასამართლოსათვის თავის არიდებას. მიუხედავად იმისა, რომ კოდექსის 292-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 297-ე მუხლის (ვ) ნაწილი ითვალისწინებს დაუსწრებლად გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების უფლებას და, სავარაუდოდ, იძლევა ფაქტობრივი გარემოებების ხელახლა განხილვის საშუალებას, პირი, რომელიც გასამართლებული იქნა დაუსწრებლად, მხოლოდ განაჩენის გასაჩივრების უფლების მინიჭებით, რაც განსხვავდება საქმის ფაქტობრივად ხელახლა განხილვისაგან, მოკლებული იქნებოდა სასამართლოს ერთ-ერთ ინსტანციას, რაც ხელმისაწვდომი იქნებოდა სხვა ბრალდებულებისათვის.

ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვასთან დაკავშირებული პრობლემის თავიდან ასაცილებლად ყველაზე მარტივი გზა ამ კონცეფციის კოდექსიდან ამოღებაა. მიზანშეწონილია ამ მიდგომის განხილვა. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება გადაწყვეტილება, რომ კოდექსი კვლავ ითვალისწინებდეს საქმის განხილვას ბრალდებულის დაუსწრებლად, მიზანშეწონილია, სასამართლოს დაეკისროს ვალდებულება, ბრალდებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაადგინოს, უწყება ეფექტიანად გაეგზავნა თუ არა საქმის განხილვამდე. გარდა ამისა, მიზანშეწონილია, განისაზღვროს, რომ ბრალდებულს აქვს უფლება საქმის და არა მხოლოდ (საჩივრის) ხელახლა მოსმენაზე, თუ იგი არ ესწრებოდა საქმის განხილვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი თავის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით იყო წარმოდგენილი ან მკაფიოდ განაცხადა უარი უფლებაზე, სასამართლოს

<sup>28</sup> იხ., *Sejdovic v. Italy*, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, 1 მარტი, 2006, განაცხადი #56581/00, პუნქტი 82.

<sup>29</sup> იხ., Cf. ევროპის საბჭოს #7511 რეზოლუცია ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვის კრიტერიუმების შესახებ.

<sup>30</sup> იხ., Cf. მაგ., ნიდერლანდების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლები 278-280

წინაშე გამოცხადებულიყო, ან, თუ სასამართლო დაადგენს, რომ იგი თავს არიდებდა მართლმსაჯულების განხორციელებას.<sup>31</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 (3) მუხლი ადგენს, რომ ბრალდებულს აქვს უფლება „დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით“.<sup>32</sup> კონვენციის მე-6 მუხლის განმარტებისას, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში - *Colozza v. Italy*<sup>33</sup> დაადგინა:

მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფში პირდაპირ არ არის აღნიშნული, ამ მუხლის არსი და მიზანი მთლიანობაში ნათელიყოფს, რომ პირი, რომელსაც ბრალად ედება „სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა“ უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასამართლო სხდომაში. უფრო მეტიც, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის (c), (d) და (e) ქვეპუნქტების მიხედვით, „ყველა პირს, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა“ აქვს უფლება „დაიცვას საკუთარი თავი პირადად“, „დაკითხოს მოწმეები“ და „უფასოდ ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, თუკი მას არ ესმის სამართალწარმოების ენა“. შესაბამისად, რთულია ბრალდებულმა ეს უფლებები გამოიყენოს პროცესზე დაუსწრებლად.<sup>34</sup>

საქმეში - *Poitrimol v. France*, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, „ასეთი უარი [გამოცხადებისა და საკუთარი თავის დაცვის უფლების შესახებ], თუკი ის ეფექტურია კონვენციის მიზნებისათვის, უნდა დაწესდეს ცალსახა წესის სახით მის მნიშვნელობასთან თანაზომიერი მინიმალური გარანტიებით“.<sup>35</sup>

რაც შეეხება საპროცესო გარანტიებს, სასამართლო სხდომები მხარეთა დაუსწრებლად დასაშვებია გარკვეულ შემთხვევებში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით ეს გარანტიები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

- (i) ბრალდებული უნდა იყოს საბრალდებო დასკვნისა და საქმის წამოების შესახებ (რომელიც უნდა წარმართოს პროკურორმა) ინფორმირებული, ასევე აქვს უფლება ნებაყოფლობით თქვას უარი სასამართლო პროცესში მონაწილეობაზე და ერთმნიშვნელოვნად განაცხადოს ეს სასამართლოს წინაშე;

<sup>31</sup> იხ., ეუთოს და ევროსაბჭოს ერთობლივი მოსაზრება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ.

<sup>32</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 6(3), 1950, 4 ნოემბერი, 213 U.N.T.S. 222.

<sup>33</sup> *Colozza v. Italy*, 89 Eur. Ct. H.R. (ser. A) (1985) ხელმისაწვდომია <http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-57462>.

<sup>34</sup> *Id.* 27.

<sup>35</sup> *Poitrimol v. France*, 277 Eur. Ct. H.R. (ser. A), ¶ 31 (1993), ხელმისაწვდომია <http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-57858>.

- (ii) ბრალდებულმა ცალსახად უნდა განაცხადოს სასამართლოს წინაშე რომ იგი უარს ამბობს თავის უფლებაზე მონაწილეობა მიიღოს სასამართლო პროცესში. მისი ქცევა გულისხმობს, რომ იგი უარს ამბობს მის ამ უფლებაზე მაგალითად, როდესაც ბრალდებული ემალება სასამართლოს;
- (iii) ბრალდებული გამოაძევეს დარბაზიდან წესრიგის დარღვევის გამო.

პირველ შემთხვევაში, სასამართლო პროცესი მხარეთა დაუსწრებლად შეიძლება ჩატარდეს იმ პირობით, რომ ბრალდებული იყო ინფორმირებული სამართალწარმოების შესახებ და მან ცალსახად განაცხადა უარი პროცესზე დასწრებასთან დაკავშირებით. ბრალდებულის დუმილი შეტყობინების მიღების შემდეგ, არ გულისმობს მის უარს.<sup>36</sup>

საქმეში - *Sejdovic v. Italy*, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღიარა ბრალდებულის სასამართლო პროცესზე დასწრების მნიშვნელობა. ბრალდებულის, დაზარალებულის და მოწმის უფლებების ბალანსისთვის, სასამართლო ადგენს, რომ „საკანონმდებლო ხელისუფლებას უნდა შეეძლოს თავიდან აირიდოს სასამართლო პროცესზე გაუმართლებელი დაუსწრებლობა, იმ პირობით, რომ ყველა გამოყენებული სანქცია არ არის პროპორციული საქმის გარემოებებთან და ბრალდებულს არ აქვს ჩამორთმეული უფლება დაცული იქნეს ადვოკატის მიერ.“<sup>37</sup> უფრო მეტიც, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში - *Pelladoah v. The Netherlands* დაადასტურა, რომ ბრალდებულს აქვს უფლება სამართლებრივი წარმომადგენლობის ქონის, იმ შემთხვევაშიც თუ მან უარი თქვა დასწრებოდა სასამართლო პროცესს.<sup>38</sup>

იმ შემთხვევაში, თუკი ბრალდებული ემალება სასამართლოს ან მისი ადგილსამყოფელის დადგენა შეუძლებელია, პროკურორმა უნდა დაამტკიცოს, რომ ბრალდებული იყო ინფორმირებული სამართალწარმოების შესახებ მანამ, სანამ იგი უარს განაცხადებდა საკუთარ უფლებაზე დასწრებოდა სასამართლო პროცესს.<sup>39</sup> სავარაუდოდ, სასამართლო პროცესზე უარის თქმასთან დაკავშირებით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სამართალწარმოების საჯარო გამოცხადება აძლევს ბრალდებულს კონსტრუქციულ ცოდნას და სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას განაგრძოს სამართალწარმოება ბრალდებულის დაუსწრებლად. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით, პრაქტიკის მიხედვით პროკურორის მიერ ბრალდებულისთვის სამართალწარმოების შესახებ ინფორმაციის მიწოდების გარეშე, სასამართლოს არ შეუძლია წარმართოს პროცესი ბრალდებულის დაუსწრებლად, თუკი მას

<sup>36</sup> იხ. *Colozza v. Italy*, App. No. 9024/80, Eur. Ct. H.R., ¶ 28 (1985).

<sup>37</sup> *Sedjovic v. Italy*, N. 56581/00, Eur. Ct. H.R., ¶ 92 (2000), ხელმძისაწვდომი <http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-72629>.

<sup>38</sup> იხ. *Pelladoah v. The Netherlands*, App. No. 16737/90, Eur. Ct. H.R., ¶ 40 (1994), ხელმძისაწვდომი <http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-57902>.

<sup>39</sup> იხ. *Sejdovic v. Italy*, ECtHR N. 56581/2000, 2006 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება, შეტყობინებული [2008] ECHR 620.

არ აქვს საქმის ხელახალი გადასინჯვის უფლება.<sup>40</sup> ბრალდებულისთვის სამართალწარმოების მიმდინარეობის ცოდნის შესახებ მტკიცების ტვირთი ეკისრება პროკურორს ან მოსარჩელე სახელმწიფოს.<sup>41</sup>

უახლესი მიდგომით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ, როცა ბრალდებულის ქმედება ხელს უშლის სასამართლო პროცესს იმდენად, რომ სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს მისი სასამართლო დარბაზიდან გამევეებას, საქმის განმხილველმა მოსამართლემ უნდა „დაადგინოს, რომ აპლიკანტს გონივრულად უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მის ქცევას მოყვებოდა მოსამართლის შესაბამისი გადაწყვეტილება, სასამართლო სხდომის დარბაზიდან მისი გამევეების შესახებ“.<sup>42</sup> აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი გაფრთხილების ან გარკვეული ხნის განმავლობაში საქმის გადადებით, რომელიც საშუალებას მისცემს ბრალდებულს თავს კონტროლი გაუწიოს და შეაფასოს მისი ქმედებით გამოწვეული შედეგები.<sup>43</sup>

---

<sup>40</sup> იხ. *Krombach v. France*, 2001-II Eur. Ct. H.R. 88, ხელმისაწვდომი <http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-59211>.

<sup>41</sup> იხ. *Maleki*, შენიშვნა 16, ¶ 9.4.

<sup>42</sup> იხ., *Idalov v. Russia*, App. No. 5826/03, Eur. Ct. H.R. (2012), ხელმისაწვდომია: <http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-110986> (citing *Jones v. the United Kingdom*, No. 30900/02, Eur. Ct. H.R. (2003), ხელმისაწვდომია: <http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-23360>).

<sup>43</sup> *Id.* 177.